



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030288579735913

№ 02-339/ო

14 / მარტი / 2013 წ.

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (მუხლი 6; მუხლი 8; მუხლი 10) და „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (დანართი N1) საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს შპს დამოუკიდებელ სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორზე“ (ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, საქართველოს სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის ჩასახვევთან, ნაკვეთი 15/69) - „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლიცენზია“.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144) ან სასამართლოში.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე.

საფუძველი: შპს „დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი ვექტორი“-ს დირექტორის ა. გუჯამის განცხადება N27952 12.03.2013წ;

ადგილზე შემოწმების აქტი N19 14.03.2013წ.

ზეპირი მოსმენის ოქმი N3 14.03.2013წ.

სააგენტოს უფროსი

გია თვალავაძე